დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 81 08
13/12/2019

,, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დმანისის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების განსაზღვრის თაობაზე" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 07 ნოემბრის №71 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტისა და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 63-ე მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

შევიდეს ცვლილება ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დმანისის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების განსაზღვრის თაობაზე'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 07 ნოემბრის №71 08 განკარგულებაში თანდართული რედაქციით:

,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 1 ნოემბრის №514 დადგენილების მე-2 მუხლის საფუძველზე:

1. ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების ფარგლებში, 2020 წელს დასაფინანსებებლი პროექტები განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) სოფ მაშავერაში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (900 გრძ.მ) (19 ქულა)

ბ) დმანისის მუნიციპალიტეტ სოფელ კაკლიანში (აზერბაიჯანული) ცენტრალური გზიდან სარიტუალო დარბაზამდე მისასვლელი გზის მოწყობა (570 გრძ.მ) (18 ქულა)

გ) ამამლოს ახალ სასაფლაომდე მისასვლელი გზის მოწყობა (500 გრძ.მ) (15 ქულა)

დ) სოფ დაგარახლოს სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (850 გრძ.მ) (13 ქულა)

ე) სოფ კიზილაჯლოს შიდა გზების რეაბილიტაცია (სასაფლაომდე მისასვლელი გზა) (1165 გრძ.მ) (13 ქულა)

ვ)სოფ ბაზაქლოში შიდა გზის მოწყობა (500 გრძ.მ) (13 ქულა)

ზ) სოფ. ველისპირის წყალმომარაგებისთვის ჭაბურღილის და ახალი რეზერვუარის მშენებლობა (13 ქულა)

თ) სოფ. დაგარახლოს წყალმომარაგებისთვის ჭაბურღილის მშენებლობა (13 ქულა)

2. ნება დაერთოს დმანისის მუნიციპალიტეტს მერს, პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების განხორცელების შესახებ წინადადება წარადგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად.

3. დაევალოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერს:

ა) 2020 წლის დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში გაითვალისწინოს პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების თანადაფინანსებისათვის საჭირო სახსრები;

ბ) პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტებისათვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულებით გათვალისწინებული თანხების განკარგვა განხორციელდეს „2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლის შემთხვევაში.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

81-08-4-201912131239
https://edocument.ge/KvemoKartli/public/#/